№ 269. ოთხშაბათი, 30 ივლისი 1896–1897 ოთხშაბათი, 30 ივლისი, № 269.

**რედაქცია:**
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

**გაზეთის ფასი**
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
*Телефонъ № 363.*

Ресторанъ и гостиница
„ПУРЪ-ГВИНО“
*Головинскій, д. кн. Багратіонъ-Мухранскаго.*

## სასტუმრო და რესტორანი
## „პურ-ღვინო“.

Ресторанъ и Гостиница
„ПУРЪ-ГВИНО“
*Головинскій, д. кн. Багратіонъ-Мухранскаго.*

გოლოვინის პროსპექტი, მუხრან-ბატონის სახლებში, კლუბის ქვეშ.

### მეგობრული მასლაათი

—გამარჯვება შენი! კაცო, რამ გაგასუქა ასე? ნეტა რასა სჭამ?

— საქმეც ეგ არის და! ვჭამ და ვსვამ, რაც-კი საუკეთესო რამ არის ტფილისში: სუფთა, გემრიელი და ნოყიერი საჭმელი, სასმელი გრილი და საუცხოვო, მოსამსახურე მარდი და ზრდილობიანი, ჰავა მშვენიერი, მოწყობილობა საგანგებო და მასპინძელი იმისთანაა, რომ სულში ჩაისვამ, მუდამ მხიარული, გულ-გაშლილი და თავაზიანი!... აბა, რა თქმა უნდა, რომ ამისთანა საჭმელ-სასმელი ხორცსაც შეერგება და სულსაც აამებს!...

—მერე სად გიპოვნია ესეთი სამოთხე?

—სამოთხე-კი არა, მაგრამ სასიამოვნო ბევრია: მე „პურ-ღვინოზე“ მოგახსენებ...

— ალბად საშინელი სიძვირე იქნება!...

—რის სიძვირე, რას ბრძანებ? აბა ქვემოდ ჩაათვალიერე და თვით დარწმუნდი, არის სადმე ტფილისში ისეთი სიიაფე საჭმელ-სასმელებისა, როგორც პურ-ღვინოში“.

### ნიხრი სადილებისა

4 კერძი სადილი, არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო (ანუ ერთი ბოთლი ლუდი), ფინჯანი ყავა . . . . 1 მან.
3 კერძი სადილი, არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო (ანუ ერთი ბოთლი ლუდი), ფინჯანი ყავა . . . 80 კაპ.
2 კერძი სადილი, არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო (ანუ ერთი ბოთლი ლუდი), ფინჯანი ყავა . . . . 60 კაპ
2 კერძი სადილი, არაყი, 1 ბაკალი ღვინო (ანუ კრუშკა ლუდი) . . . . . . . . . . . 40 კოპ.

### ნიხრი სასმელებისა

1 რუმკა არაყი სმირნოვისა, შტრიტერისა, პოპოვისა და სარაჯიშვილისა . . . . . . . . . . 5 კაპ.
1 რუმკა კონიაკი, ზუბროვკა, მწარე ინგლისური და ჩაჩისა . . . . . . . . . . 10 კაპ.
1 ბაკალი ღვინო 5 კაპ., ერთი კრუშკა ლუდი . 5 კაპ.
1 ბოთლი ღვინო „კახეთის“ ამხანაგობისა 40 კაპ.-დან ნახევარი ბოთლი 20 კაპ.-დან, მუხრან-ბატონისა 40 კაპ.-დან.
ჯორჯაძისა 35 კაპ.-დან, თავ. გ. ჭავჭავაძისა 30 კაპ.-დან. ნახევარი ბოთლი 15 კაპ.-დან;
ლუდი კეტცლისა ბოთლი 15 კაპ., ბოგარიის კვასი ბოთლი 15 კაპ., ლიმონადი, გრუშოვი, სოდოვოი, სიფონი და სხვა ბოთლი 10 კაპ.;
ჩაი და რძე 5 კ. სტაქანი. ყავა სტაქანი 10 კაპ.
სასმელები ყოველთვის ცივია.

✦✦ სამზარეულო საგანგებო, ხორაგი ახალი. ✦✦

**საჭმელები ევროპიული და ადგილობრივი (ყოველ დღე ლობიო)**
!!ფასი ყველაფერზე ზომიერი, სისუფთავე და წეს-რიგი საგანგებო!!
იქვე ცალკე დარბაზში გამართულია 5 ფრეიბერგის ბილიარდები — ფასი საათში 30 კაპ.
**ნარდი** და **ჭადრაკი** საათში დღისით 15 კაპ. ღამით 20 კაპ.
※ სასტუმროში არის მრავალი მორთული და მოწყობილი ოთახები ※
ფასი თვითო ნომრისა დღე-ღამეში, 40 კაპ.—1 მ. 50 კაპ—მდე, თვეობით 10—30 მანათამდე „**პურ-ღვინოს**“ უპირველესი სურვილი და წადილი არის: სიწმინდე, თავაზიანობა და პატივისცემა.
დავშთები საზოგადოების მარად პატივის მცემელი **იაგორ მამინაიშვილი.**

(32—6)

---

ხელის-მომწერთა
საყურადღებოდ

ვისაც ხვედრი ფული (შედაგთიანი) არ შემოუტანია,

გაზეთის გზავნა მოესპობა

⁂

**პირველ აგვისტოდან**
გაზეთი
**«ცნობის ფურცელი»**
საქართველოს კალენდრით
**ღირს სამი მან.**

---

უმაღლესად დამტკიცებული საზოგადოება

## აზოვის ზღვაოსნობისა

ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამ წლისა თებერვლიდამ გაიმართა **დრო გამოშვებითი მორიგი მიმოსვლა საბარგო და მგზავრთა გემებისა ოდესა-ბათომს შუა.**

ფასი შემცირებულია როგორც ბარგზე, აგრეთვე მგზავრთათვის.

**ოდესიდან გამოდის**—სამშაბათობით და პარასკეობით 5 ს. ნაშუად.
**ფოთში მოდის**—კვირაობით და ოთხშაბათობით დღისით 1 სათ.
**ბათომში მოდის**—კვირაობით და ოთხშაბათობით საღ. 10 საათ.
**ბათომიდან გადის** - ორშაბათობით და ხუთშაბათობით დღ. 1 საათ.
**ფოთიდან გადის**— ორშაბათობით და ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.
**ოდესაში მიდის**—შაბათობით და სამშაბათობით დილის 10 საათ.

გემები გზა და გზა შეივლიან ოჩემჩირეში, სოხუმში, ახალ ათონში, გუდაუთში, სოჭში, თუაფსეში, ნოვოროსისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში,

ცნობებისათვის მსურველნი მიჰმართავენ:

**ტფილისს**—საზოგადოების აგენტს **ი. ს. რივკინს**, ველიამინ. ქ., 3.
**ბათომს** — — — ი. მ. ვარშავსკის.
**ფოთს** — — — ა. დ. გუგუშვილის.

Высочъ Утвер' О-ово Азовск. Параходства
*Срочные таваро-пассажирскіе рейсы по удешевленному тарифу между Батумомъ и Одессой.*
Справки у агентовъ О-ва: **Тифлисѣ**=1. Бр. Рывкина, Велямин. 3.
**Батумѣ**=Я. М. Варшавскаго и **Поти**=А. Д. Гугушвили.

(50—40)

---

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 სათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. ბერრატი.** დედათა ავად მყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.** თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ თოფურია**

Лѣчебница *С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

---

პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს: სნეულებანი საქირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანასიანცი**, დილის 11—12 საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

**საღამოობით**

**ა. მ. პუდინოვი.** 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Тифлисъ, противъ памятн. Ворнцову.

---

**მცხეთის წმ. ნინოს დედათა მონასტერში არსებულის საქალებო სასწავლებლის საბჭო**

აცხადებს, რომ 1 ენკენისთვიდან მიიღებიან მოწაფენი: ამ სკოლის მოსამზადებლის კლასის უცროსსა და უფროსს განყოფილებაში და აგრეთვე I, II, III და IV კლასებში. მოწაფეთა მშობლებმა თხოვნასთან ერთად უნდა წარმოადგინონ მეტრიკის მოწმობა ან მეტრიკის წიგნიდამ ამოწერილობა წლოვანების შესახებ და ამას გარდა მოწმობა ყვავილის აცრისა.

სკოლაში შემდეგ საგნებს ასწავლიან: სამღთო სჯული, რუსულ ენას და მწერლობას, ქართული ენა და მწერლობა, არითმეტიკა, გეოგრაფია, ისტორია, სუფთად წერა, გალობა და ხელ-საქმე (ჭრა-კერვა და ქარგვა). მსურველთ ფრანგულ ენასაც ასწავლიან ზედ-მეტის საფასით. ამ სასწავლებელში კურს-დამთავრებულთ შეუძლიან განაგრძონ სწავლა სხვა საშუალო სასწავლებლებში.

სწავლის ფასი წელიწადში: პანსიონერთათვის —120 მან., ნახევარ პანსიონერთათვის—80 მან., ამას გარდა პანსიონერთა უნდა შემოიტანონ 20 მანეთი თავდა პირველის გამოწყობის ხარჯად. გარედამ მოსიარულეთ სასწავლებლის გამგეობა თითონ მიუთითებს წესიერს ბინას და იქონიებს მათზედ მუდმივს ყურადღებას.

მონასტრის წინამძღვარი, სასწავლებლის უფროსი **იღუმენია ნინა.**

(3—3 უფასო)

ეროვნული

# დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“
«რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.»

28 ივლისი.

**კრასნოე სელო.** 27 ივლისს, ვიდრე გერმანიის იმპერატორი და იმპერატრიცა მობრძანდებოდნენ, პეტერგოფიდგან მობრძანდნენ აქ ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა ამალით. აქ დუხვდნენ მათ დიდნი მთავარნი და მთავრინანი. 5 საათსა და 45 წუთზედ მობრძანდნენ გერმანიის იმპერატორი და იმპერატრიცა ამალით. დაუხვდნენ ხელმწიფე იმპერატორი, იმპერატრიცა, დიდნი მთავარნი და დიდნი მთავრინანი. მატარებელი რომ მოახლოვდა, მუსიკამ დაუკრა გერმანიის საერო ჰიმნი. იმპერატორები ცხენებით წავიდნენ ჯარის ბანაკის დასათვალიერებლად. გერმანიის იმპერატორი რუსულად მიესალმა ჯარს. 9 საათზედ სასახლეში გაიმართა სადილი. 10 საათზედ დაიწყო თეატრში წარმოდგენა, რომელსაც დაესწრნენ იმპერატორნი და იმპერატრიცანი.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანა: „შეჩერებულ იქმნას გაზეთის „ოდესის ფურცლის“ გამოცემა ორის თვის ვადით“.

**სტამბოლი.** სულთანმა პირობა მისცა სერბიის ელჩს, სკოლისა და ეკლესის საქმეს თქვენის ეკლესიის სურვილის თანახმად გადავწყვეტავო.

**მადრიდი.** სანტ-აგელიდგან ოფიციალურ დეპეშით იუწყებიან, რომ ერთმა ანარქისტმა რევოლვერით სამს ალაგას დასჭრა კანოვასი. კანოვასი გარდაიცვალა. უკანასკნელი მისი სიტყვები იყო: „ესპანიაადღეგრძელოსო!» მკვლელი დააპატიმრეს. იგი ნეაპოლელია, ამბობს სახელად ჩინალდი მქვიანო, მაგრამ მისი ნამდვილი სახელია მიშელოჟინ-გოლლი. მინისტრები საბჭოში შეიკრიბნენ, დროებით პრეზიდენტობა ჩაბარდა შინაგან საქმეთა მინისტრს.

კანოვასს ტყვია გულსა და შუბლში მოხვდა. დაჭრილი თვისი ცოლის ფერხთან დაეცა.

28 ივლისი.

**პეტერბურგი.** 28 ივლისს, 11 საათზე, კრასნოე სელოში უმაღლეს პირთ დაათვალიერეს ჯარი. შეკრებილი იყო: 12 ბატალიონი ქვევითა ჯარისა და 42 დივიზია არტილერიისა 51 ღენერლით, 1425 ოფიცრით და 32425 სალდათით. ჯარის უფროსი იყო დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე. ჯარი დაეწყო ოთხ პირად. ჯარს შემოუარეს და დაათვალიერეს ხელმწიფე იმპერატორმა, გერმანეთის იმპერატორმა, იმპერატრიცებმა და ხელმწიფის საგვარეულოს წევრთ. შემდეგ მათ უდიდებულესობის წინ ჯარმა გაიარა ცერემონიალურის მარშით. როდესაც გამოიარა ხელმწიფის კანვოიმ, იმპერატორი ჩაუდგა თავში და გაატარა მარშით გერმანეთის იმპერატორის წინ. როდესაც გამოიარა გვარდიის ქვევითა ჯარმა, გერმანეთის იმპერატორი ჩაუდგა თავში და გაატარა ცერემ. მარშით ხელმწიფე იმპერატორის წინ.

ჯარის დახედვის შემდეგ დაბრძანდნენ უმაღლესს საუზმეზე. მესამე საათზე მათი უდიდებულესობანი უმაღლესის სტუმრებით წაბძანდნენ ახალს პეტერგოფში.

**მადრიდი.** მინისტრთა საბჭომ დაადგინა: გამოცხადდეს აზკარრალის დანიშვნა დროებით პრეზიდენტათ საბჭოსი; კანოვასს დასაფლავება მოხდება მადრიდში.

## კანონი და მთავრობის განკარგულება.

დანიშნულ იქმნენ: ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოხელე კოლეჟსკი სეკრეტარი ილია წულუკიძე, — იმავე კონტორის უმცროს მეთვალ-ყურედ; ზუგდიდის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის ფოსტალიონი სტეფანე კომეტიანი, — ფოთის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უმცროსს მოხელედ.

გადაყვანილ იქმნენ: ახალ-ბაიაზეთის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უფროსის თანაშემწე — ანტონ აბაზაძე და ბათომის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოხელე — იასე იორაიშვილი, — იმავე თანამდებობაზე: აბაზაძე, — ზუგდიდის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორაში და იორაიშვილი — სოხუმსაში.

# ახალი ამბავი

⁂ **ბ-ნ მთავარ-მართებლის დაბრუნება ტფილისში.** მისს ბრწყინვალებას კავკასიის მთავარ-მართებელს გენერალ-ადიუტანტს თავ. გოლიცინს მოელიან ტფილისში ყუბანის თემიდამ კვირას, 3 აგვისტოს.

⁂ **შავისა და ბალტიის ზღვების შეერთების გეგმა.** შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ ჟამად ამზადებს შავისა და ბალტიის ზღვების შეერთების გეგმას.

⁂ **საქველ-მოქმედო ხარჯი.** 1892 წლის 5 მაისის კანონის ძალით ყოველგვარის წარმოდგენებისა და გამართობელ სანახავების შემოსავლიდამ უნდა გადადებულ ყოფილიყო ხოლმე რამოდენიმე $^0/_0{}^0/_0$ საქველმოქმედო დაწესებულებათა სასარგებლოდ. ეხლა ეგ კანონი განუმარტავთ და ის აზრი წარმოუთქვამთ, რომ რადგან სამეცნიერო ლექციები გამართობელ სანახავად ვერ ჩაითვლებიან, მიტომ არც ექვემდებარებიან ზემო აღნიშნულს კანონსო.

⁂ **თავ. მუხრან-ბატონის და პლიუშჩევსკის დავა.** ტფილისის ოლქის სასამართლო დღეს, 30 ივლისს, განიხილავს კერძო ვექილის ბ. პლიუშჩევსკის საჩივარს, რომლითაც იგი ედავება თავ. კ. ი. მუხრან-ბატონს 99,000 მანათს.

⁂ **ჩაის პლანტაციები ჩაქვში.** საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა გადასწყვიტა შესამჩნევად გაფართოვდეს ს. ჩაქვის ჩაის პლანტაციები.

⁂ **მუშების დაზღვევა.** მადნეულობის მწარმოებელთა კრებამ ეკატერინბურგში დაადგინა შემდეგი: ,,აღიძრას შუამდგომლობა, რაც შეიძლება მალე შემოიღოს მმართველობამ სავალდებულო დაზღვევა მუშებისა, რომლებიც მადნეულებზე მუშაობენ. პრემიების ფული უნდა გამოექლოს მუშებს და მწარმოებელთ''. მნიშვნელობა დაზღვევისა ის არის, რომ მუშა, — რომელიც იძულებული გახდება დასახიჩრების თუ სიბერის გამო მუშაობას თავი დაანებოს, — ღებულობს პენსიასავით პრემიებს, რითაც ეძლევა ცხოვრების საშუალება.

⁂ **ქალაქის გამგეობა.** ქალაქის გამგეობას საჩივარი აღუძრავს 63 კაცის წინაამდეგ, რომელთაც, თურმე, ქალაქის მიწები დაუუფლებიათ ნორიის ქუჩაზე, ქალაქის მ-10 განყოფილებაში.

⁂ **ქალაქის ცენტრალ საავადმყოფოს მეთვალყურე ბ. იოსელიანი** ქალაქის გამგეობას სამსახურიდამ დაუთხოვნია.

⁂ **ტფილისის ოლქის სასამართლო** 14 აგვისტოს განიხილავს სიღნაღის მაზრის მცხოვრების ტიტიკო ნადირაშვილის საქმეს, რომლითაც მას თავისი ცოლის მოკვლა ჰბრალდება.

⁂ **ქალაქის მამულების განმეორებით დამფასებელი კომისსია.** ხსენებული კომისია დაიწყებს თავისს მოქმედებას 15 აგვისტოს და იმუშავებს ყოველ დღე დილის 9 საათიდამ — ნაშუადღევის 3 საათამდე.

⁂ **ჩაფართა რაზმის წეს-რიგის შეცვლა.** ამას წინედ ბ. ტფილისის გუბერნატორმა მოითხოვა მაზრის უფროსებისაგან ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეიცვალოს ჩაფართა რაზმის წეს-რიგი. ამ კითხვაზედ ბ. ტფილისის მაზრის უფროსს თავ. ლ. ჯანდიერს მოუხსენებია ბ. გუბერნატორისათვის, რომ საჭიროდ ვსცნობ ჩაფრების საყარაულოების რიცხვს მოემატოსო და 16 მაგივრად-30 საყარაულო იქმნეს და თვით ჩაფრებიც 69 კაცის მაგივრად დანიშნულ იქმნას 178 ტფილისის მაზრისათვისო. ბ. მაზრის უფროსი იმ აზრისაა, რომ განსაკუთრებითი ყურადღება უნდა ექმნეს მიპყრობილი მაზრის სამზღვრებს, ყაზახის, ბორჩალოს და სიღნაღის მაზრის მხრით და ყარაიაზის მიდვრისაკენ, რადგან ამ ადგილებიდამ უფრო ხშირად გადმოდიან ხოლმე თათრები საავაზაკოდ ტფილისის მაზრაშიო. ამასთანავე მაზრის უფროსი იმ აზრისაა, რომ ჩაფრებს ჯამაგირები მოემატოს და ზოგიერთა უფლებები მიენიჭოთ სამსახურში.

⁂ **თავხედური ქურდობა.** 27 ივლისს, ღამის 12 საათზე, მოხდა გასაკვირველ თავხედურის გაბედულობით ქურდობა. კიროჩნის ქუჩაზე, მე-10 პოლიციის განყოფილებაში. მიუხედავად ამისა, რომ ამ ქუჩაზე ერთი წამი მოსვენება არ არის და განუწყვეტელი მოძრაობაა, ქურდი შეპარულა ქ-ბნ მელანია წილოსანის ბინაში ქუჩიდან, ჯერ გაუტეხია სარკმელი, შესულა კაბინეტში, იქიდან ზალაში, გაუვლია სასადილო ოთახი და მიუმართავს პირდაპირ საწოლ ოთახისათვის. აქ გაუტეხია კამოდი და ამოუღია იქიდან ძვირფასი ნივთების ყუთი. სახლში ამ დროს ყოფილა მხოლოდ გამდელი პატარა ბავშვებით ყმაწვილების ოთახში; იმას მოუკრავს ყური რაღაც კაკუნისთვის, აუღია სანთელი საჩქაროდ, გამოვარდნილა კაბინეთში, მერე უკანა აივანზე და ბოლოს გამოსულა ზალაში, სადაც დახვედრია ღია სარკმელი, ხალიჩები და მუთაქები მიფანტულ-მოფანტული. 12 საათის შემდეგ მოსულა ქ-ნი წილოსანისა და მაშინ გამოირკვა, რამდენიც იყო მოპარული. ქურდს წაუღია ერთი დიდი ბრილიანტის ბროში, სამი სამაჯური და რამოდენიმე ბეჭედი ძვირფასი ქვებით. სულ წაღებული ნივთები ჰღირს, თურმე, 1,600 მანათზე მეტი.

ეჭვი ჯერ არავისზე არის აღებული, მაგრამ ეჭვი არ არის მასში, რომ ქურდი უსათუოდ ისეთი კაცია, რომელმაც კარგად იცოდა, როგორც სახლის შინაგანი დაწყობილება, აგრედვე ისიც, თუ სად იყო შენახული ნივთები. ფიცხელი გამოძიება სწარმოებს.

⁂ **„ცენტრალი დეპოს“ შესახებ.** ბ-ნო რედაქტორო! თქვენის პატივცემულის გაზეთ „ცნობის ფურც.“-ს 260 №-ში მოვისმინეთ ყოვლად სასიხარულო და სასარგებლო აზრი ბ-ნ ძველი ეკალისა ამ სათაურით: ,,თავადი ილია ჭავჭავაძე და სრულიად საქართველოს ცენტრალი დეპო''. აზრი ბ-ნ ძველი ეკალისა მართლაც რომ დიდად მოსაწონი და სასარგებლო იქნება ჩვენის ეკონომიურად დაქვეითებულის ერის გაუმჯობესებისათვის და ღირს მნიშვნელოვანი ძეგლიც იქნება აგებული ჩვენის სასიქადულო იუბილარის სახელზე. მეც, ერთი ხელოსანთაგანი, და მრავალი ჩემი მოძმე მუშა ხელოსნებიც თანავუგრძნობთ ამ კეთილს საქმეს და დიდი პატივის-მცემელნიც ვართ იუბილიარის დაუვიწყარის სახელისა, მით უმეტეს, რომ იუბილიარის გრძნობით სავსე მოძღვრებამ ჩვენ მუშა-ხელოსნებსაც აგვიხილა თვალები, ჩაგვახედა ქვეყნის სარკეში, დაგვანახვა და გაგვაცნო ჩვენი თავი ადამიანებად, მისმა კეთილშობილურმა გულ-შემატკივრობამ ჩვენს ბედ-შავ და დავრდომილ გულშიაც დაიხედა და ჩვენის ჭირ-ბოროტის განკურნებაც გაუზიარა თვისებურად ჩვენთვის გულ-შემატკივარ ერსა ამ სიტყვებით: ,,კაცი ის არის, მას ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან დაჩაგრულიაო'' და აი სწორედ ამისთანა ღვთის-ნიერი კაცნიც არიან საჭირონი საქმის სათავეში, რომელთა მოქმედებაც ბედ-შავ და ქონება-გონებრივად დაჩაგრულების ცხოვრებას მალამოდ დაედება. ჩვენ გვჯერა, რომ ძეგლი და დიდებაც პატივცემულის იუბილიარისა და მისი მოძღვრებისა, თუ საქმის სათავეში თვითვე ჩადგა, მალე საქმედ გარდაიქცევა და თვით ეგ დიდებული საქმეც მისის სახელწოდებით მალე დაარსდება ჩვენში.

დასასრულ, ვისურვებ სულით და გულით ბ-ნ ძველი ეკალის აზრის განხორციელებას და ,,ცენტრალი დეპოს'' დაარსებას ქ. ტფილისში. ამისთვის მეც ჩემის მხრით გადამიდვია 10 მანათი, რომელსაც სასწრაფოდ წარვადგენ, სადაც ნაჩვენები ალაგი იქნება დაარსებული კომიტ
ტისაგან.

მ. ჩოდრაშვილი.

⁂ **ზუგდიდი** (სამეგრელო). **I**
**თის საქსოვ ქარხანას დაარსების I**
**ქმე სამეგრელოში.** 1894 წლ. „კე
ლის“ მე-17 №-ში დაბეჭდილი იყ
რომ მისს უგანათლებულესობას ნ
კოლოზ დავითის ძე თავადს სამე
რელოისას განუზრახავს ჩითისა
ამერიკის საქსოვი ქარხნის გამარ
სამეგრელოშიო. ამ ამბავმა იმ დრ
ით დიდი ლაპარაკი აღძრა მთე
სამეგრელოში და სიხარული ჩაუ
რგა გულში ყველა მეგრელთაგა
არც იმერეთისა, გურიისა და აფ
ზეთისათვის იქნებოდა უსარგებლ
რომ ეგ განზრახვა განხორციელ
ბოდეს. მაგრამ ჯერჯერობით ამბ
ისევ ამბვად არის დარჩენილი. ბე
იმედი ჯერ კიდევ არ დაუკარგ
და ჰფიქრობენ, რომ თავადი სამ
რელოისა ამ კეთილსა და ყოვლ
სასარგებლო განზრახვას არ უღალ
ტებს და უეჭველად აღასრულებს
ღმერთსა ვსთხოვთ, რომ ეს კეთილ
განზრახვა განხორციელდეს და მ
მიეცეს სალხარი არსებობისა ამ დ
რიბსა და დაცემულს მხარეს, რო
ლის მკვიდრთა ერთად-ერთი იმე
სიმინდი იყო, მაგრამ სიმინდის ფ
სი იმდენად დაეცა, რომ თითქ
შეუძლებელია ამ სადრითვე ყოვ
ლისავე აუცილებლის მოთხოვნ
ლების დაკმაყოფილება. ხოლო
მისმა უგანათლებულესობამ თვ
აზრი აღასრულა, სიმინდის იაფო
მაშინ აღარაფრად მივიჩნევთ, რა
გან ამ შემთხვევაში, ნაცვლად სი
ნდისა, ბამბის მოყვანას შევუდ
ბით, რადგან მისი გასაღება ადვილ
იქნება ჩვენთვის, როგორც ქარხნ
სათვის საჭირო მასალასი და ბევრ
თვით იმ ქარხანაში სამუშაოს იშ
ვის. სწორედ დიდი საშუალება
შეღავათი იქნება ყველასათვის.
თქმა უნდა, რომ თვით თავ. ნიკ
ლოზ დავითის ძეც ისარგებლებს
ქარხნის გამართვით: მისს მიწა-ადგ
ლებს, რომელნიც ეხლა თითქმ
უსარგებლოდ არიან გაშვებულნ
კარგი ფასი დაედებათ და დიდს ს
რგებლობასაც მისცემენ მემამულე
ეჭვს გარეშეა, რომ ქარხნის გახსნ
ში თავ. ნიკოლოზი ნივთიერს და
მარებას არავისგან არ მოითხოვ
ხოლო თითოეულ ჩვენთაგანის მ
ვალეობა იქნება, შეძლებისა-და-გვ
რად გავუწიოთ მისს უგანათლებუ
ლესობას ზნეობრივი სამსახური დ
ხელი მოვუმართოთ ამ სასარგებლ
და სასიქადულო საქმის გაჩაღებაში

თედორე ხოშტარია.

⁂ **სოფ. აკეთი** (გურია). **უხუ
ცო მხარეში მელაა ხუცად დაყე
ნესო.** (მეგრული ანდაზა). როგორც
მკითხველებმა უწყიან, ამ ოთხი
წლის წინად სოფ. აკეთში, ორიოდ
ღვთისნიერ ადამიანის წყალობით
უფასო წიგნთ საცავი დაარსდა. ყვე
ლანი დიდის თანაგრძნობით მოე
კიდნენ ახალ დაწყებულ საქმესა
მმართველი არა ზოგავდა არც ფუ
ლსა, არც ჯანსა წიგნთ საცავი
წარმატებისათვის, ბოლოს, საქ
როგორღაც შეფერხდა, ზოგმა ლაპ
რაკი დაიწყო, მმართველია ყველ
ფერში დამნაშავეო, ის რომ
იყვეს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დ
ყეფსო. გაზეთის საშუალებით

ეუწყა ეგ აზრი საზოგადოებას. მმართველმა განაცხადა, ოღონდ რამე გააკეთეთ და მე დიდის სიამოვნებით გაგეცლებითო.

სხვა ახალი მმართველი ავირჩიეთ. გვეგონა, ახლა-კი გვეშველაო. იმედი მოგვეცა, წიგნებს ქუთაისში ვერავინ წაიღებს დასაგირავებლადაო; გარნა ყოველი იმედი გაგვიცრუვდა: წინად თუ ყოველგვარ ჟურნალ-გაზეთებს ვღებულობდით წიგნთსაცავებში, ახლა მარტო ,,ივერია'' ღა შევრჩა ხელში და ისიც ერთის კვირის უკან თუ გამოჩნდება წიგნთსაცავის მაგიდაზე,... ახალის წიგნების შეძენისათვის არავინ ზრუნავს. და არც ვიცით, გამოდის რამე ახალი ქართული წიგნი, თუ არა. შეგიძლიათ, მობრძანდეთ წიგნთსაცავში და, რაც წიგნებია განჯინებში ამოიღლიავოთ და არხეინად სახლში დააწყოთ,—დარწმუნებული იყავით, არავინ მოგკითხავს და სხ. და სხ.

აქეთს 6 მეტი კაცი მოეძებნება, ინტელიგენტის სა'ელს რომ ატარებს ისეთი. ნუ თუ სირცხვილი არ არის, რომ ასე კარგად და სახელოვნად დაწყებული საქმე ასე ცუდად და სასირცხვილოდ უნდა გათავდეს? ამით სამუდამოდ. დაგვეკარგვის ხალხის თვალში ნდობა. ხალხი ახლაც გაიძახის: ,,ნასტავლები', თუ არაფერს აკეთებენ, ჩვენ რაღა უნდა მოგვთხოვონო?''

დრო კია, მე და ჩემმა ღმერთმა, გონს მოვიდეთ, თორემ თითზე კბენა წამხდარს საქმეს მერე ვერას არგებს.

გულშემატკივარი-

**ქ. ქუთაისი. ვაჭრობა კვირა-უქმე დღეებში.** თუმცაღა არა ერთ გზის იყო გამოცხადებული ჟურნალ-გაზეთებში, რომ კვირა-უქმე დღეს დუქნების კეტვას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენო (დუქნები კანონით უნდა იკეტებოდეს თორმეტს საათამდის და ნაშუადღევის ექვსის საათიდან), მაგრამ, საუბედუროთ ჩვენდა, არ აქცევენ ყურადღებას, როგორც პოლიციელები აგრეთვე; რა საკვირველია, არც ჩვენი ,,ხაზეინები''. ილაჯ გაწყვეტილ ნოქრებს არა აქვთ ერთი წუთის მოსვენება, რომ წავიდნენ სამკითხველოში და წაიკითხონ რამე ჟურნალ-გაზეთი, რაისთვის ძრიელ მწყურვალენი არიან, ან წმიდა ჰაერი გადაჰყლაპონ, და ლოცვა მოისმინონ, ზოგი ერთი მოვაჭრე ,,ბაკალეინისა'' აი რა ხერხს ხმარობენ: დუქანს შუაზე ჰყოფენ: წინ აწყობენ ცოტა ხილს პოლიციელების საჩვენებლად, რადგან მეხილეებს არ უკრძალავენ დუქნის გაღებას, ხოლო დუქნებში გამართული აქვთ ჩვეულებრივი სავაჭრო. და როცა მყიდველი შედის, რასაც მოითხოვს იმას აძლევენ... სასურველია, ყურადღებას მიაქცევდეს ამ გვარ უწესობას და დუქნებს კანონიერად დააკეტიებდეს ვისიც ჯერ არს.

გურულ-მეგრელი.

⁂ **ს. დისევი** (ქართლი). **ჭორივით მოუშორებელი ავაზაკები.** იმ დღეს, თურმე, ერთს ტფილისელ გაზეთს უოხუნჯნია ჩვენს მდგომარეობაზე და პატივცემული „ცნ. ფურც.“-ში დაწერილი ამბავი აქაურ ავაზაკებზე „საოპერეტო და სასაცილო შემთხვევად“ ულიარებია. ნეტავი მაგათ! რა ენაღვლებათ, სხედან თავიანთთვის არხეინად და მშვიდობიანად რედაქციებში და ჩვენი გაჭირვება ,,საოპერეტო ამბად'' მიაჩნიათ, მაგრამ ნეტა ჩვენს ტყავში ჰყო ისინი და ვნახავდით მაშინ მათი ,,საოპერეტო'' კბილების კრაჭუნს და შიშისაგან სოროში შეძრომას... ზოგს სხვისი პირი ლხინად მიაჩნია! ეჰ მახლას. ჩვენ მშვიდობა არ გვეღირსა და გვგონია არცა გვეღირსება. მოუშორებელმა შიშმა ლამის მთელი სოფელი ჰკუიდან შეშალოს. ადგილობრივი ადმინისტრაცია გვეუბნება: ილიკო ფუხაშვილი თქვენკენ არ იმყოფებაო, მაგრამ ერთი ანდაზისა არ იყვეს, ,,ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო'' სწორედ ისეა ჩვენი ამბავიც; ფუხაშვილი წერილებსა გვწერს, რაზედაც თავის სახელს და გვარს აწერს; ხოლო თუნდ, ფუხაშვილი ნუ იქმნება, მაგრამ სხვები რომ იმაზედ უარესები არიან? იმათგან ვინ გვიხსნის? 15 ამ თვისას მოგვივიდა წერილი შემდეგის სიტყვებით: ,,გაბრიელ მღვდელო! მისამარ მოამზადე რაც მოგწერეთ, თორემ ვერას გიშველიან, ვერც ჩაფრები, ვერც მომშველებელი პრისტავი და ვერც ზ... ვ... სოტნიკი.''

მივიღეთ აგრეთვე წერილი, 17 ამა თვისას, რომელიც არის მოწერილი ჯერ ჩაფრებთან და მერე დიაკვან ვანო ოქროპირიძესთან, აი კოპიო ამა წერილისა: „თქვე მხეცებო! ლექსა და ბასილ; ვითომ ნუგრაძემ დაითვარა გაბრიელ მღვდელი, ახლა თქვენ მეეთრიენით რას დაწოწავთ, რაც უნდა ჰქმნათ, ჩვენ ჩვენსას არ დავიშლით, მისამარ მანდედან დაიკარგენით, თორემ მტვერს აგადენთ“. „მღვდელო! შენს დაკვანს ჩააგონე მისამარ გამოგზავნოს, რასაც უკვეთინებთ, თორემ თვალით ვაცქერინებთ თავის სახლის და ცოლ-შვილის უბედურებასა, ვერავინ უშველის. ჩანდიანთ ტყეში ამოგვიტანეთ!“ ილიკო ფუხაშვილი. ჩვენ ამ წერილებს ვიღებთ და ზოგი ხუმარა-კი გაიძახის: ,,Это пустяки, это оперетка“. საიდგან „პუსტიაკია“ და „ოპერეტკაა“ ბატონო! მაშ ეტყობა, სანამ თავს არ დაგვეცემიან და არავის დახოცავენ სულ „პუსტიაკია“!..

18 ამ თვისას, ღამის 12 საათზედ, ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი მივიდნენ ლავრენტი ოქროპირიძის სახლთან, ჯერ ქვებით ფანჯრები ჩაუმტვრიეს და მერე კარებს მტვრევა დაუწყეს, მაგრამ ხმაურობაზედ და ყვირილზედ გავიგეთ. ჩვენც გავქანდით ჩქარა იქითკენ, მაგრამ ქურდ-ბაცაცები სადღაც მიმალულიყვნენ. დავიწყეთ თოფების სროლა, ავანთეთ სანთელი და ისე დავუწყეთ ძებნა ყოველ კუთხეში, მაგრამ, თითქო დედა-მიწამ უყო პირი, ვეღარა გავიგეთ-რა.

20 ამავე თვისას, ჯერ გავიგონეთ ხუთხერ ზედი-ზედ თოფის სროლა, ჩვენ გვეგონა, აი მოდიან ჩვენი მუდამ წუთს დაუვიწყარნი სტუმრებიო, პატარა ხნის შემდეგ დავინახეთ ხევზედ მსხდომნი ორი შეიარაღებული კაცი, რასაკვირველია, ყველანი დაწიოკდნენ და თავის დასამალავად მიეშურებოდნენ. ზოგ მათგანს მძინარე ბავშვებისთვის დაევლოთ ხელი და ისე გარბოდნენ; მაგრამ სად? თვითონ-ც არ იცოდნენ. ზოგს-კი შვილებისთვის თავი დაენებებინათ და თავ-ბრუ დასხულნი მირბოდნენ გასახიზნავად. მოძღვართ-მოძღვრის მ. გაბრიელის მცველები კი მამაცურათ გაემგზავრნენ იქითკენ, ბევრი ეძებეს, მაგრამ ყოველი შრომა დაკარგულ იქმნა და უცბათ სადღაც ჰჩანთქა დედა-მიწამ.

23 ამა თვეს კიდევ მივიღეთ, ვგონებ უკანასკნელი წერილია: „გაბრიელ მღვდელო! ბესარიონ მღვდელო! მისამარ, რასაც გწერთ შეასრულეთ, თორემ გადის თვე, მოდის თქვენი უბედურების დღე, უთუოდ გამოგზავნეთ რასაც გწერთ“. თუ ზოგიერთ ვაჟ-ბატონებს „პუსტიაკების“ და „ოპერეტკების“ ნიჭი აქვთ, ერთი ეს წერილები რამე მასალად გამოიყენონ, ხოლო ჩვენ-კი გამუდმებულის შიშისა და გოდების მეტი არა დაგვრჩენია-რა!..

ტეტიკა.

⁂ **ქუთაისი ქუჩის უსუფთაობა.** ქარვასლის ქუჩაზედ ს. ბ—ის შენობაში ნ. ჩ—ძეს სამიკიტნო დუქანი აქვს; ამ დუქნიდამ ბინძურის წყლისათვის მილია ქუჩაზე გამოყვანილი; აუარებელს უწმინდურს წყალს, საპნიანს, თუ ხორცის ნახარშს ღვრიან ამ მილში და ქუჩაზედ მთელი ტბები დგება; დააჰერს თუ არა მზე ამ ტბებს, ისინი საშინლად აყროლდებიან და საზიზღარს სუნს გაუშვებენ ხოლმე. გარდა ამისა, ამ დუქანში წამ და უწუმ თავს იყრიან მეეტლენი და მეჯაგვენი სასადილოდ, თავიანთ ეტლებსა და ჯაგვებს ცხენებით ქუჩაში აყენებენ ხოლმე დუქნის წინ და მეტის მეტად აბინძურებენ იქაურობას, ხოლო დამგველი და ყურადღების მიმქცევი არავინ არის. ურიგო არ იქნებოდა, რომ პოლიციამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას, მით უმეტეს. ეხლა, როდესაც შავი ჭირის მოლოდინში ყოველგან სასტიკსა და ფიცხელს სანიტარულს ზომებს ღებულობენ.

— **ებრაელთა უწესო საქციელი.** ქუთაისელ ებრაელ-ვაჭართაგან მეტის მეტად შევიწროვებულნი ვართ, განსაკუთრებით სოფლებიდამ მოსულნი: გამოდგებიან,ბატონო, თავიანთ დუქნების წინ და ვინ იცის რას არ ჩადიან, რომ ცოტა რამე მაინც გაყიდვინონ: ჩოხაში გებღაუჭებიან, ცოლშვილსა და მშობლებს გაფიცებენ, „შემოიარე ჩვენს დუქანში—ყველაფერი იაფად და საქონელიც კარგი მაქვს-“ო; სულ რომ არაფრის ყიდვა გინდოდეთ, მაინც რასმე გაყიდვინებენ, ზომაში მოგატყუილებენ, ყალბ ფულს ხურდად მოგართმევენ და გამოგისტუმრებენ. თუ გაჯიუტდი და დუქანში არ შეჰყევი, მოსდგებიან წყევასა და ლანძღვა-თრევას.

ურიგო არ იქნებოდა, რომ ადმინისტრაცია ყურადღებას მიაქცევდეს ამ ვაჭბატონების თავ-გასულობას და სიბრიყვეს.

ი. დ. გ—ნია.

⁂ **გუდაუთი** (აფხაზეთი). **ავაზაკების თავ-გასულობა და სამწუხარო შემთხვევა.** 22 ივლისს გუდაუთის ნაწილის უფროსი ბ. ჩიქოვანი თავს დაესხა გადავარდნილს ავაზაკს მამსირ აბრაგიფას სოფ. ზვანდრიპში; ბ. ჩიქოვანს თან ჩაფრები ახლდნენ; მიაკვლიეს თუ არა ავაზაკის ბინას, ღამით გარს შემოერტყნენ სახლს. აბრაგიფას შეუმჩნევია პოლიციის მოახლოვება და საჩქაროდ შიგნიდამ სახლის კარებები დაუკეტია და მომზადებულა საბრძოლად; ჩაფრებს ბ. ჩიქოვანის ბრძანებით ავაზაკის შესაშინებლად რამდენჯერმე დაუცლიათ ფოფები; ავაზაკსაც დაუწყია სახლიდამ თოვის სროლა და ორი ჩაფარი დაუჭრია: ერთს შუბლში მოხვედრია ტყვია და წარბი წაუგლეჯია, ხოლო მეორესათვის ყური მოუცლია ტყვიას; ბოლოს ბ. ჩიქოვანსაც მოხვედრია კისერში ერთი ტყვია .როდესაც ჩაფრებმა თავისი უფროსი დაჭრილი დაინახეს, ავაზაკს თავი დაანებეს და მისს მოვლას და ჭრილობის შეხვევას მოჰყვნენ; ავაზაკმა ამით ისარგებლა და უგზოუკვლოდ სადღაც გაიპარა და გაჰქრა. ბატონ ჩიქოვანის ჭრილობა, როგორც ამბობენ, მძიმე და საშიში არ უნდა იყოს.

მამსირ აბრაგიფას შარშან ქუთაისის ოლქის სასამართლო თოთხმეტის წლის კატორღა მიუსაჯა ავაზაკობისათვის.

№ №.

⁂ **სადგ. ნატანები** (გურია). **საბანმურე.** არ ვფიქრობ, რომ ნატანებისთანა უწმინდური სადგური მეორე სადმე მოიძებნებოდეს მთელ რკინის გზაზე. ისედაც დამპალი და ციებ-ცხელებიანი იყო და ეხლა მთლათ მოწამლა ჰაერი უადგილო ალაგას პირუტყვების ყოლამ; ნამეტნავად შეგვაწუხა შინაურმა ფრინველებმა: გაუშვეს უპატრონოთ ბატების და იხვების ხროვა და აშმორებულია მთელი ქუჩები და სადგურის ახლო-მახლო ადგილები, ისე რომ ადამიანს სიარული არ შეუძლიან. ასჯერ გასრისეს მატარებლებმა, მაგრამ მაინც ყურადღებას არ ვინ აქცევს. დუქნებში და რესტორანებში ღამის გათევა-კი არა, ცხვირის შეყოფა არ შეუძლია ადამიანს ისეთი სუნი და უსუფთაობაა. უსათუოდ, თუ სადმე უწმინდურობით-კი გაჩენილა რამე სენი და ჭირი, ნატანების სადგური ამ შემთხვევაში პირველი იქნება. არ იქნება ურიგო მიაქციოს ყურადღება ვისიც ჯერ არს, იხმაროს ზომები და გადაგვარჩინოს ფათერაკს.

მგზავრი.

⁂ **მთიულეთი. ცხვრის ავადმყოფობა და თურქული.** სხვა მრავალ უბედურებასთან ერთად წელს მთიულებს ერთი უბედურებაც მოგვემატა: ცხვრებს ავადმყოფობა გაუჩნდა ეგრედ წოდებული თურქული და მუსრს ავლებს. განსაკუთრებით სენი მძვინვარებს მეფისკარის, ხევსურეთის და მილიონას მთებზე. დიდად მოხუცებულები ამბობენ, ჯერ ასეთს სასტიკს სენს არ მოვსწრებივართო. სასურველია, და ფრიად საჭიროც, რომ ბეითალი იქმნას გაგზავნილი იმ მთებზე, თორემ თქვენი მტერი, რაც ჩვენ დღე დაგვადგეს. ისედაც გაჩანაგებულს ხალხს სრულებით წაერთმევა ცხოვრების სალსარი.

ვანო დ-გ-ზ-შვილი.

⁂ **დ. კოჯორი. ცეცხლის გაჩენა.** შაბათს, 26 ივლისს, კავკასიის დედათა ინსტიტუტის საზაფხულო სადგომში,ვიღაც ბოროტ-მოქმედთა ცეცხლი წაუკიდეს ინსტიტუტის თეთრეულს. ცეცხლი მალე შეამჩნიეს და დააქრეს. ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის მოადგილეს ბ. რიბინს წინადადება მიუცია კოჯორის ბოქაულისათვის—ფიცხელი გამოძიება მოახდინეთ ამ შემთხვევის თაობაზე და რაც-კი რამ აღმოაჩინოთ, მე მომახსენეთო.

გამოძიება სწარმოებს და იმედია ბოროტმოქმედნი ვერ დაემალებიან მართლ-მსაჯულებას.

⁂ **დ. სუჯუნა** (სამეგრელო). **ჩარჩული იარმარკობა.** დიდი ხნის სურვილი აღუსრულდათ სუჯუნელ ებრაელებს: მათის ბელადის არონას თაოსნობით სუჯუნაში გაიხსნა ამ სიცხე-პაპანაქებაში იარმარკობა, მაგრამ ვაი მაგისთანა იარმარკობას!.. მართალია, ნება-რთვა გამოიტანეს უმაღლესის მთავრობისაგან სუჯუნაში იარმარკობის დაწესებაზე და, ასე წარმოიდგინეთ, იარმარკობის დროს გამორჩევაც-კი მთავრობამ თვით მთხოვნელებს მიანდო. მაგრამ ცნობილია, რომ უფლება უგნურის ხელში, სულ რომ არ იყოს, სჯობია და სარგებლობის მაგიერ ვნებას მოუტანს. ხანგრძლივის თათბირის შემდეგ, ებრაელთა ბჭობამ უკეთესი დრო ვერ გამოარჩია იარმარკობისათვის, ვიდრე ეს ივლისის სიცხე-პაპანაქება. ექვს ივლისს დანიშნეს იარმარკობა; არ ვიცით, რით ხელმძღვანელობდნენ სუჯუნელი ებრაელები, როცა იარმარკობა დანიშნეს ამ სიცხე-პაპანაქებასა და შუაგულ მუშაობაში, როცა მუშა ხალხს ერთი წამიც მოცლა არ აქვს და ზედ მეტი ისა, რომ გასაყიდიც არა აბადიარა და საყიდელიც ბევრიც რომ უნდოდეს, არც ფული გააჩნია და მოუცლელობაც ნებას არ აძლევს?!.

მოეფინა ხმა სოფლებს თუ დაბებს: სუჯუნაში იარმუკობა იწყება ექვსს ივლისსო იაფად, და საქონელი სულ ოხრად არის!. მოიწვიეს გურულების თავისუფალი მუსიკის ხორო, რომლებს შერიგებიან რვა დღეში თორმეტ თუმნად. ერთის სიტყვით, ბევრი ფართი-ფურთობა დაიწყეს. ბოლოს მიმართეს ადგილობრივ დეკანოზს ხოშტარიას, ეკკლესიის გალავანი დაგვითმე ,,საბულვაროთო,'' მაგრამ წინ-დახედულმა პატივცემულმა დეკანოზმა მართებული უარი უთხრა, რადგან, როგორც შეიტყო, ხალხს არ შეეძლო, თურმე, ეკკლესიის გალავანში უბილეთოდ შესვლა.

დეკანოზთან რომ ვერა გააწყვეს-რა, იქვე, ეკკლესიის გვერდზე დაბის პატარა მაიდანი შემოფიცრეს გარშემო, სადაც ხალხს არ შეეძლო უბილეთოდ შესვლა.

ექვს ივლისს, კვირა დღეს, დაიგრიალა მუსიკის ღოროტოტ-ბარაბანმა და მოეფინა საამური ხმა მყუდრო დაბის არე-მარეს; მოაწყდა სოფლის ხალხი, აიმსო პატარა დაბის ვიწრო ქუჩები ქალითა და კაცით, დიდითა და პატარით, უფრო ბავშვებით... საწყალი ხალხი ამ ივლისის სიცხე-პაპანაქებაში ძლივსღა სუნთქავდა და ოდნავ-ღა იბრუნებდნენ სულს; უწყალობის გამო იქვე შმორიანი ცუდ-ღარის ღელეს ეწაფებოდნენ. სწორედ ეგ იყო ნამდვილი წამალი შავი ჭირის გასაჩენად. თუ ჭირი ან ხოლერა არ გაჩნდა, კიდევ მადლობა უფალსა, მაგრამ ბევრნი რომ ავად გახდებოდნენ ხსენებული ღელეს წყლითა, ამაში ეჭვი არ არის..,.

რადგან ხალხის სიმრავლით ტევა არსად იყო, ხალხი ეკკლესიის გა-

ლავანს მიეშურა, რომ სული მოებრუნებია ას-წლოვანი ცაცხვის ჩრდილ-ქვეშ, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, არ აყენებდენ იარმარკის მეთაურნი; მიზეზი ასეთის უკაცურის განკარგულებისა შემდეგი ხრიკი ყოფილა: გაუმაძღრობა და სიხარბე კაცს რას არ აქნევინებს. თურმე, ნუ იტყვით, ფულის შემბოჭველთ ასე გადაუწყვეტიათ: ვინც ეკლესიის გალავანში შემოვა უთუოდ ბილეთი უნდა ჰქონოდა ნაყიდი,თორემ ისე გზა არა ჰქონდა ასე, რომ აქაც გამოიჩინეს ჩარჩული ნიჭი და თუ გალავანი არ მისცეს, მაინც თავის საწადელი შეასრულეს. ხალხი გამწარებით გაიძახოდა: „კაცო, რა გინდათ ჩვენი ეკლესიის გალავანში, რატომ არ გვიშვებთ და არ გვაყენებთო!“ მაგრამ ყურს ვინ უგდებდა, ვინ რას დაეძებდა ხალხის ჩივილს, პასუხი მზად ჰქონდათ: „ან ბილეთი აიღეთ, ან და იქ გასწიეთ, საიდანაც მოსულხართო!“ საწყლებს ძალ-დატანებით და მათრახის რტყმევით ცხვრის ფარასავით ერეკებოდნენ აქეთ-იქით, მიუხედავათ სქესისა და წლოვანებისა. რაღა უნდა ექნათ, უნდა უსათუოდ ბილეთი აეღოთ. ხალხის ინტერესი რომ უფრო გაეცხოველებინათ, ცრუ ხმები დაჰყარეს და თვალთ-მაქცურად გაიძახოდნენ: ,,ორი ქაჯი არის ჯაჭვით დაბმულიო და ქალაქ ტფილისიდან მოჭიდავე ფალავნები არიან ჩამოსულიო!'' მოდი და გასძელი.. ზედ მეტი მუსიკის საამური ხმა ნება უნებლიეთ მიიზიდავს სოფლის ხალხს. ამის მეტი რაღა უნდა: ქაჯები, ფალავნები, მაიმუნები, დარდუზანა და ზახრუმალა ტკბილი მუსიკით შეზავებული. მდაბიო კაცი-კი არა, განათლებულიც აყვებოდა საერთო ფეხის ხმას. აი ეს იყო ებრაელების ბადე, რომელშიაც უნდა მოქცეოდა მდაბიო ხალხი და ბილეთები გაესაღებინათ. ჩარჩობა და თვალთ-მაქცობა განა ამაზედ მეტი-ღა იქნება!.. ვისაც-კი გროში გააჩნდა სულ იმათ ჩაიჯიბეს. ხალხი მოტყუებული და ცხვირ-ჩამოშვებული გამოდიოდა უკანა ფარდულიდგან: არც ქაჯებია და არც ჭიდაობა, არც პრასა და არ ნიახური! რაღა გინდათ ამაზე მეტი თვალ-ხილული და კანონიერი ძარცვა-გლეჯა! ასე დასრულდა სუჯუნის იარმარკობა, უიმისოდაც ნივთიერად დაცემულს ხალხს ზედ-დაემატება ჩარჩ-წურბლების მანქანები და თვალთ-მაქცური ღლეტა!.. სრული იმედია, ამის შემდეგ მთავრობა ღირსეულ ყურადღებას მიაქცევს და რამე წეს-რიგს დააფუძნებს ხსენებულს იარმარკობაზე.

ა. კარიეთელი.

## რკინის გზის ამბები

ამიერ კავკასიის რკინის გზის ახალი პატრონი. ჩვენს გაზეთშიაც იყო ამას წინედ მოხსენებული, რომ მთავრობას განზრახვა აქვს ამიერ-კავკასიის რკინის გზა იჯარით გარდასცეს კავკავის რკინის გზის საზოგადოებასაო. ეხლა, გაზ. „პრიაზ. კრ.“-ს შეუტყვია, რომ ეგ განზრახვა მალე განხორციელდება კიდეცა და მაშინ ორივე გზა შეერთდება და ეწოდება „კავკასიის რკინის-გზა“; მმართველობა ამ გზისა ქ. პეტერბურგში იქმნება, ხოლო მმართველობის განყოფილებანი გაიმართება ქქ. ტფილისში, კავკავში და როსტოვში.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობა შუამდგომლობს, რომ ჭიათურის ტოტზე სს. სალიეთსა და ბოსლევში გაიმართოს დროებით მიღება და გავზავნ-გამოგზავნა ბარგ-საქონლისა მატარებლით,

* * *

## პოლიციის მატიანე

— უვარგისი ხილი. 27 ივლისს, ქალაქის მე-6 განყოფილებაში 800-მდე უვარგისი დამპალი ნესვი და საზამთრო. გადაუყრიათ ქალაქის მე-7 განყოფილებაში გადაუყრიათ კახეთის მოედანზე გამართულის—მეხილეთა დუქნებიდამ უვარგისი და დამპალი 300—ნესვი, 350 საზამთრო და 5 ფუთზედ მეტი ქლიავი და მსხალი. ბაყლები სამართალში მისცეს.

— თავის დახრჩობა ნავახშევს. 27 ივლისს, ღამის 11 საათზე, ზაქარია ნავასარტიანი ამხანაგებითურთ შესულა მარქარ კირაკოზოვის სარდაფში რომელიც ვორონცოვის ხიდთან არის მტკვრის, პირზე, და მოუთხოვნია ვახშამი; როდესაც კარგა-ღაზათიანად შეზარხოშებულა—მისულა და ფანჯარიდამ მტკვარში გადავარდნილა და დამხრჩვალა.

— ქალის მოტაცება. სოფ. აწყურში (ახალციხის მაზრა) ვიღაც ბოროტმოქმედთ მოუტაცნიათ ახალგაზდა ქალი შარიფა-ისმაილ-ყიზი; ადგილობრივი ბოქაული, რომლისთვისაც ეგ ამბავი უცნობებიათ, დასდევნებია საჩქაროდ უკან და მოტაცებული ქალი დაუტოვებინებია, ხოლო ავაზაკები სადღაც გადამალულან.

— ავ-კაცობა და უბედური შემთხვევანი ტფილისის გუბერნიაში. ივლისის პირველს ნახევარში ტფილისის გუბერნიაში მომხდარა: უბედური შემთხვევით სიკვდილი—7, ქურდობა—3, ცეცხლის განგებ გაჩენა—1 და ახლად დაბადებულის ბავშვის მიგდება—2.

* * *

## სხვა და სხვა ამბები

საკვირველი ხელთ-საქმე. ქ. ფრანკფურტ-მაინზე (გერმანია) ამ ჟამად გამოფენილია ერთი მშვენიერი, ხელოვნური სურათი, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავს ყველა მნახველნი. სურათი წარმოადგენს უკვდავის მხატვარის რაფაელის სურათის ,,სიკსტინის მადონნა''-დამ გადმოღებულს ნამდვილს პირს. ეგ სურათი სხვა და სხვა ფერის ძაფებით ტილოზე მოუქარგავს ახალგაზდა ქალს—კლარა რიხერგერს. სურათი ისე საუცხოვოდ არის, თურმე, შესრულებული, რომ არც ფერებითა და არც ხელოვნებით არ განსხვავდება ნამდვილისაგან. ქალს სურათი ექვსი წლის განმავლობაში უქარგავს სქელ ტილოზე და დიდი შრომაც გაუწევია. ისე ფაქიზად არის, თურმე, ნაქარგი, რომ ადამიანი სამი ნაბიჯის მანძილზედაც ვერ წარმოიდგენს, რომ ის ნაქარგია და არა ნახატი. ხელოვნების მცოდნენი ამ სურათს 40,000 მანეთად აფასებენ.

* * *

## სამეცნიერო ცნობა

მანათებელი კალამი. ინგლისელ ვილკოკს მოუგონია მანათებელი კალამი. კალმის ტარში მოთავსებულია პაწაწინა ბატარეა ელექტრონისა, კალმის წვერზედ-კი პატარა ლამპარი. წერის დროს კალამი განათებულია იმდენად, რომ სიბნელეში შესაძლებელია გარკვეული წერა და ამით საჭირო არ არის სანთლის ანუ წუმწუმის ანთება.

## თეატრის მატიანე

**ს. მარტყოფში** (ქართლი) ქართული წარმოდგენა. წარსულ კვირას, ს. მარტყოფში გამართულ იყო ქართული წარმოდგენა ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან. წარმოდგენილი იყო ცაგარლის „ბაიყუში“ და ვ. გუნიას „ხორველობა“.

წარმოდგენამ მწყობრისად ჩაიარა და ხალხიც კმაყოფილი დარჩა, ვინცკი დაესწრო. საკვირველია, რომ ზოგიერთი ადგილობრივი მკვიდრნი არ თანაუგრძნობენ საზოგადოდ წარმოდგენებს. მათ სათაკილოთ მიაჩნდათ, რომ ამ საერო სკოლას ხელი შეუწყონ და მდაბიო ხალხს გონება განუვითარონ. მე ქართულ წარმოდგენებს ვარქმევ საერო სკოლას, რადგან ბევრს გლეხობას არავითარ სკოლაში არ უსწავლია და წარმოდგენაზე დასწრებით ბევრს საგულისხმო და სასარგებლო რასმე გაიგებს. მადლობის ღირსნი არიან მეთაურები სასოფლო წარმოდგენების გამართვისათვის. როგორც გავიგეთ, სამარიამობოთაც ემზადებიან წარმოდგენისათვის უფრო დახელოვნებულ პირთა შემწეობით. იმედია, რომ ყველა ადგილობრივი განათლებულნი ხელს შეუწყობენ.

სტუმარი.

* * *

## სამეურნეო ცნობანი

ბატების მოვლა-მოშენება. ყოველს შინაურ ცხოველს ეჭირება თავის საკუთარი მოვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში ცხოველი არ იძლევა იმ ნაყოფს, რომელიც შეიძლება მიიღოს პატრონმა კარგის მოვლით. მაგალითად, ბატი ძალიან გავრცელებული შინაური ფრინველი ქართველებში, მაგრამ მის მოვლა-მოსაშენებლად ქართველები არავითარ ღონეს არ ხმარობენ. მიუგდიათ ბატი ბუნების ამარად და რასაც იგი გაიმეტებს, მას სჯერდებიან.

ბატების მოსაშენებლად პატრონმა ყოველ სამ დედა ბატზედ მხოლოდ ერთი მამალი ბატი უნდა შეინახოს. მამლები არ უნდა იყვნენ ორი წლისაზედ ნაკლებნი. სასეირნო ადგილი ბატებისთვის აუცილებლად ბალახიანი და წყალიანი უნდა იყოს. თუ ეს გარემოება აკლიათ, ბატები უნაყოფო კვერცხებს სდებენ და ჭუჭულების გამოჩეკა თითქმის შეუძლებელი ხდება. ბატების შესანახი ადგილი უნდა სუფთა და ფართო იყოს: 4 ბატზედ ზედ მიწვენით უნდა ერთი სიგრძე-სიგანე-სიმაღლე საჟენიანი სადგომი. საბატე საჭიროა მოწყობილი იყოს სწორი იატაკით და ჭავრის საწმენდით.

კვერცხების სადებ ბუდედ თითო-ბატს უნდა თითო არშინ-ნახევრიანი სიგრძე-სიგანის ყუთი ედგას. როცა ბატი კვერცხსა სდებს, სხვა ბატები უნდა კარში გამოიყვანოს.

გამოსაჩეკათ კვერცხი არ უნდა იყოს სამ კვირაზედ უხნიერესი, მაგრამ ყველაზედ უკეთესი იქნება სრულიად ახალი კვერცხები შეაწყოს კრუხ ბატს. კვერცხების საჩეკ დროთ ყველას ჯობია მარტი და აპრილი.

თითო კრუხ ბატს უნდა შეუწყოთ არა უმეტეს ცამეტი კვერცხისა. საჭმელი რაც შეიძლება უნდა ახლო ჰქონდეს დედალს, ძალიან კარგია, რომ დედა ბატი, სანამ კვერცხებზედ ზის, დღეში ერთხელ ბანაობდეს რუში, დანამული ბუმბული დედა ბატისა ძალიან კარგად მოქმედებს კვერცხებზედ.

თუ ბატის კვერცხი ქათამმა ან სხვა ფრინველმა უნდა გამოჩეკოს, საჭიროა კვერცხი ყოველ დღე-გამოშვებით დაიხამოს ცივის წყლით. კვერცხი როცა იჩეკება, დედა ბატს ხელი არ უნდა ახლონ და არ გამოაშორონ გამოჩეკილი ბუდეს,—ეს უფრო მავნებელია, ვიდრე სასარგებლო.

გამოჩეკილი ჭუჭულები შეიძლება გაასეირნონ ბალახზედ მეორე დღეს. პირველ კვირას ჭუჭულები უნდა იკვებებოდნენ მოხარშული შვრიის ფქვილით, მოხარშული ბრინჯით, პურის ნამცეცებით და წყლით. წყალი თხელი გობით უნდა ედგათ, რომ ჭუჭულებს შეეძლოთ შიგ ადვილად ჩასვლა-ამოსვლა. ორი კვირის შემდეგ შეიძლება დედასთან ერთად გაუშვან წყალში საცურაოდ, მხოლოდ განსაკუთრებული კვება მათთვის საჭირო ამ ხანებში.

სასუქი ბატი უნდა დაიმწყვდეს ბნელ სადგომში, საკვებათ ეძლეოდეს პირველ ორ კვირას წყალი და შვრია, შემდეგ ქერის ფქვილის ცომი მაგრათ მოზელილი, რომ მისი დაფხვნა შეიძლებოდეს. ერთ სადგომში მოთავსდება 6—10 სასუქი ბატი. დაკვლამდის რამდენიმე საათის წინეთ უნდა აბანაოთ ბატი მდინარეში, მაშინ ბუმბულიც ადვილად მძვრება და ტალახიც შორდება.

ბატის დასასუქებელ დროთ უმჯობესია გიორგობისთვე; ამ თვეში ბატი საზოგადოდ სრულად არის ხოლმე.

—

კარტოფილის შენახვა. ჩვენში გავრცელებულია კარტოფილის შენახვა სარდაფში და ორმოებში. ამ ადგილებში კარტოფილი ხშირად ნესტიანდება, ხდება, რისგანაც ლპება და ფუჩდება. ყველაზედ საუკეთესოა კარტოფილი შეინახოს მშრალ ადგილას ამ გვარად: ჩაყრით ერთ პირ კარტოფილს ხის ყუთში ან მშრალ ორმოში და ზედ ორი თითის სისქით ჩალას ან ბზეს წააყრით, მერე კარტოფილი, მერე ისევ ჩალა და ასე. ერთი კვირის შემდეგ ამოყარეთ კარტოფილი და ჩალა-ბზე, რომელიც უკვე დასველებული იქნება კარტოფილის სისველით, ბზე-ჩალა მშრალზედ გამოცვალეთ; ასე მოიქეცით მინამ ჩალა-ბზე სრულებით მშრალი არ დარჩეს, შემდეგ გამოცვლა აღარ საჭიროან. ასე შენახული კარტოფილი დიდხანს ინახება და გემოიანიც არის.

* * *

დამზღვევი საზოგადოება

„იაკორ“

შეიძლება დაიზღვას თანხა განსაზღვრულის ვადით, ასე რომ იმ პირს, რომელმაც დაიზღვია თანხა, ანუ პოლისის პატრონს, რაკი პირობაში ნაჩვენები განსაზღვრული ვადა დასრულდება, მიეცემა ფული სრულიად: ხოლო, უკეთუ დაზღვეული პირი გარდაიცვალა პირობაში აღნიშნულ ვადამდე, მაშინ მემკვიდრენი ფულს აღარ შეიტანენ და და ზღვეულ თანხას ვადაზედ უნაკლულოდ მიიღებენ და, გარდა ამისა, საზოგადოება აძლევს ყოველ წელიწადს პოლისის პატრონს სარგებელს 5% დაზღვეულის თანხიდამ.

**მაგალითი**: მამა, რომელიც 30 წლისაა, ვსთქვათ, აზღვევს პატარა შვილისათვის თანხას 5,000 მანათს, იმ პირობით, რომ იგი თანხა შეიტანოს 21 წლის განმავლობაში.

ამ დაზღვევაში იმან უნდა იხადოს ყოველ ოთხ თვეში ერთხელ,—21 წლის განმავლობაში,—74 მანათი და 50 კაპ.

თუ ვინიცობაა მამა მოკვდა, თუნდაც დაზღვევის პირველ წელიწადსვე შვილს ეძლევა 20 წლის განმავლობაში ყოველ წლივ სარგებელი 250 მანათი, და, გარდა ამისა, რა დადგება პირობაში აღნიშნული ვადა, დაზღვეული თანხა 5,000 მანათიც მიეცემა.

უკეთუ დაზღვეული პირი იცოცხლებს დანიშნულ ვადაზედ მეტს, მაშინ დაზღვეული თანხა ეძლევა მას, ანუ პოლისის პატრონს.

დაზღვევა მიიღება ამიერ-კავკასიის უმთავრეს აგენტის საოლქო სამმართველოში **თევდორე ალექსანდრეს ძე ივანოვთან**, ქ. ტფილისში, ერევნის მეიდანზე, ველიამინოვის ქუჩა და სომხების ბაზრის კუთხეში, №2.

**ტელეფონი № 51.**

Страховое общество

„ЯКОРЬ“

Страхованіе принимается въ Окружномъ управленіи Главнаго Агента Закавказскаго края ФЕОДОРА АЛЕКСАНДРОВИЧА ИВАНОВА.

Г. Тифлисъ, Эриванская площадь: на углу улицъ Вельяминской и Армянскаго базара, д. № 2.

*Телефонъ управленія № 51.* (100—42)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Іюля 1897 г.
სტამბა ქქ. ი. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.